პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 სექტემბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 175 (9842) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სტელა პრიახინას გამარჯვება

ამ წარმატებას ველოსპორტის მოყვარულები დიდი ხანია ელოდნენ. თბილისელი სტელა პრიახინა, რომელმაც მიიპყრო ყურადღება როგორც ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდამ, ყოველმხრივ მზად იყო დიდი გამარჯვებისთვის. და ეს დღეც დადგა.

ერევანში, საგზატკეცილო ველოსპორტის ოსტატთა საკავშირო შეჯიბრებაზე პრიახინამ საინტერესო და უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მოიგო 80 კილომეტრზე რბოლა. სევანის ტბის მიმართულებით მიმავალი ავტოსტრადის მესამეცი კილომეტრზე ორი ველოსიპედისტი დაწინაურდა — პრიახინა და კუიბიშეველი გ. მაქსიმოვი. მათ მთელი დარჩენილი დისტანცია ერთად განვლეს და ფინიშს ხაზიც, ფაქტიურად, ერთდროულად გადაკვეთეს. წამმზომზე აღინიშნა დრო — 1:54.43. გამარჯვებულის გამოსავლენად მსაჯთა კოლეგიას ფოტოფირის გამოყენება მოუხდა, და მხოლოდ მაშინ გაირკვა, რომ პრიახინას წამის მეასედით ადრე გადაულახავს საკონტროლო ხაზი. პირველი ადგილი ახალგაზრდა თბილისელ ველოსიპედისტს მიენიჭა.

აქვე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ქალთა შორის. პირველი სამი ადგილი გაინაწილეს: ნ. მელეხინამ (ჩელიაბინსკი) — 36.04,18, ლ. ზილპორიტემ (პანევეჟისი) — 36.09,15 და ნ. კიბარდინამ (კუიბიშევი) — 36.27,52.

მოსკოვში, „მზიურში"

11 სექტემბერს მოსკოვში „ქალაქის დღეს" იზეიმებენ. ქვეყნის დედაქალაქში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის თაოსნობით ქართული კულტურის ცენტრ „მზიურში" ქართველი მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას თაოსნობით 150 დაფაზე გამართავენ ერთდროულ სეანსს ჭადრაკის მოსკოველ მოყვარულებთან.

გადაწყდა აგრეთვე, თვეში ერთხელ „მზიურში" მოეწყოს შეხვედრები საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებთან, რომლებიც დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებიდან შინ გამარჯვებულნი დაბრუნდებიან.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გამარჯვებით იწყებს

ქართველი ხალხი მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული ღვაწლმოსილი მოჭადრაკის, პირველი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძისადმი. ამის ნათელი დადასტურებაა მისი სახელობის მემორიალების ჩატარება, რომელსაც 1969 წელს ჩაეყარა საფუძველი.

ამ საერთაშორისო ტურნირმა საქვეყნო აღიარება მოიპოვა. მემორიალში დიდი ინტერესით მონაწილეობენ ცნობილი მოჭადრაკეები. ბევრმა სწორედ აქ სრულყო თავისი თამაშის კლასი. რა თქმა უნდა, მათ შორის ჩვენი თანამემამულეებიც არიან. თვალს თუ გადავავლებთ წინა შვიდი მემორიალის ცხრილებს, დავრწმუნდებით, რომ პრიზიორთა შორის ყოველთვის არიან საქართველოს მოჭადრაკეები.

ისევე, როგორც წინა წლების შეჯიბრებები, წლევანდელი საერთაშორისო ტურნირიც საინტერესო ორთაბრძოლებს გვპირდება.

საჭადრაკო ტურნირების ახალი რეგლამენტით პირველ ორმოც სვლაზე თითოეულ მონაწილეს მოსაფიქრებლად ორი საათი ეძლევა, შემდეგ — კიდევ თითო საათი მომდევნო ოც სვლაზე, პარტიის გადადებამდე. ასეთ შემთხვევებში გადადებული პარტიების რიცხვი არც ისე დიდია ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი VIII მემორიალის I ტურში არც ერთი პარტია არ გადადებულა.

აქვე ვიტყვით, რომ შეჯიბრებაზე დაწესებულია საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა — 6,5 ქულა და, ბუნებრივია, ამ წოდების მაძიებლები პირველი ტურებიდანვე შეეცდებიან ქულათა საჭირო მარაგის მოგროვებას.

ამ ტურში, უპირველეს ყოვლისა, დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს ექსჩემპიონის. მიხეილ ტალისა და თბილისელი დიდოსტატის გენადი ზაიჩიკის შეხვედრა, რომელიც „რიგელი ჯადოქრის" გამარჯვებით დასრულდა. ჩვენ შევხვდით მემორიალის მთავარი მსაჯის მოადგილეს, ოსტატ ალექსანდრე ბოკუჩავას და ვთხოვეთ თავისი შთაბეჭდილება გაეზიარებინა ამ პარტიის შესახებ.

— მეტოქეებმა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი რთული სისტემა — შევენინგენის ვარიანტი გაითამაშეს, — ამბობს ა. ბოკუჩავა. — იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს პარტია თეორიაში გაკვალული გზით მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად მიხეილ ტალმა მე-14 სვლაზე მხედარი შეწირა მეტოქეს. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გენადი ზაიჩიკმა ეს „ძღვენი" მიიღო, მაგრამ რამდენიმე სვლის შემდეგ მეტოქეს უკანვე დაუბრუნა ფიგურა. მართალია, ქართველმა მოჭადრაკემ ოდნავ უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ თავდაცვის საკმაოდ კარგი შესაძლებლობები ჰქონდა. ის-ის იყო, შავებს პარტია უნდა გაეთანაბრებინათ, რომ მოულოდნელად ტალმა ხარისხი შეწირა მეტოქეს და მალე მატერიალურ უპირატესობას დაეუფლა — ორი პაიკი მოიგო. თანდათან ფიგურები გაიცვალა და სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში ტალს არ გასჭირვებია ამ პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

საერთაშორისო ოსტატმა ელიზბარ უბილავამ შავი ფიგურებით უაიმით დაამთავრა თავისი პარტია პოლონელ საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრე შნაპიკთან შეხვედრაში.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კონკუესტი — პრანდშტერი — 1:0, კოკული — რომანიშინი — 0,5:0,5; ნოვიკოვი — გუფელდი — 0,5:0,5.

ვახილ ვაშაკიძე.

ძმაც მონაწილეობდა...

სერგო შალიბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირი

ეს შეჯიბრება მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩეოდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ ოლიმპიური ნაკრების წევრებს, ბუნებრივია, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლისნო კომპლექსში საასპარეზოდ აღარ ეცალათ. როგორც იტყვიან, ისინი ჩემოდანზე ისხდნენ სეულში გამგზავრების მოლოდინში. შინ დარჩენილი წყალში მხტომელებისთვის კი სპორტული სეზონი ფაქტობრივად დამთავრებული იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ასპარეზობა, ისევე როგორც შარშან, უფრო წარმომადგენლობითი იქნებოდა და გამარჯვებისთვის ბრძოლაც გამწვავდებოდა. თუმცა ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საპატიო კვარცხლბეკისაკენ ახლა სუსტმა სპორტსმენებმა გაიკაფეს გზა.

მათ შორის, ვინც წარმატებები მოიპოვეს, იყვნენ საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორებიცა და თასის მფლობელებიც.

— ამ შეჯიბრებაში გამარჯვების იმედი არ მქონდა, — ამბობს ლევან შალიბაშვილი, — მაგრამ ჩემი ძმის ხსოვნისადმი მიძღვნილ სეანსს ვერ ავუვლიდი. ეს ალბათ ასპარეზობაში რომ არ გამოვსულიყავი, არ შემეძლო. საბოლოოდ კოშკიდან ხტომაში მესამე ადგილი დავიკავე და ამან, რა თქმა უნდა, გამახარა.

სხვათა შორის, ლევან შალიბაშვილი წყალში ხტომაში სპორტის ოსტატია, მაგრამ თავის ძირითად სახეობად... მოტომრავალჭიდი მიაჩნია. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელი, 19 წლის ლევან შალიბაშვილი მოტომრავალჭიდში სპორტის ოსტატობის კანდიდატია და საქართველოს ჩემპიონის ტიტულსაც ფლობს. ამ მხრივ იგი ყველაზე გამორჩეული წყალში მხტომელია და, რაღა თქმა უნდა, მოტომრავალჭიდელებიც ასე ფიქრობენ, ოღონდ პირიქით.

კოშკიდან მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში წინადღით 3-მეტრიან ტრამპლინზე გამარჯვებულმა, საკავშირო თასის ორგზის მფლობელმა, თბილისელმა გიორგი შელიუგოვმა („დინამო") გამარჯვება უმცროს თანაგუნდელს, თბილისელ მოსწავლე გოჩა გახარიას (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) დაუთმო.

შეგახსენებთ — გახარია, თავის მხრივ, ტრამპლინიდან ასპარეზობაში მეორე იყო. ასე რომ, თანაგუნდელებმა, როგორც იტყვიან, პირველი-მეორე ადგილები ძმურად გაიყვეს.

საბოლოოდ ვაჟთა შეჯიბრების ყველა საპრიზო ადგილები თბილისელებმა მოიპოვეს.



შეჯიბრებაში გამარჯვებულნი და პრიზიორები: გოჩა გახარია (მარცხნიდან), გიორგი შელიუგოვი და ლევან შალიბაშვილი.

წინსვლა

სახალხო განათლების სამინისტროს და სპორტსაზოგადოება „დინამოს" შედეგები გაუუმჯობესეს

როგორც „ლელოს" 8 სექტემბრის ნომერში ვიუწყებოდით, საბოლოოდ შეჯამდა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების შედეგები. ზოგიერთი მონაცემი, კერძოდ, რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებების, უწყებებისა და ორგანიზაციების წვლილი, უფრო დაკონკრეტდა და დაზუსტდა. მაგალითად, მოპოვებული მედლების მიხედვით I თამაშებთან შედარებით ხარისხობრივად და რაოდენობრივად გაუუმჯობესეს მაჩვენებლები რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ (მინისტრი გ. ენუქიძე) და სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. მიქელაძე).

თამაშებში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებიდან მონაწილეობდა 312 წარმომადგენელი, „დინამოდან" — 116, „შრომითი რეზერვებიდან" — 71, სახალხო განათლების სისტემიდან — 45, არმიის სპორტული კლუბიდან — 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერთმეტნი — საკავშირო ნაკრებში

როსტოვში „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კრივში 1972-1973 წლებში დაბადებული 209 ჭაბუკი მონაწილეობდა, მათ შორის 22 ათლეტი ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა. საქართველოს წარმომადგენლებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს, რისი დასტურიც გახლავთ ის, რომ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტებულ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში 11 ჩვენი სპორტსმენი მოხვდა. ნაკრები აქედანვე იწყებს მზადებას იუნიორთა საკავშირო პირველობისთვის, რომელსაც, აგრეთვე, როსტოვი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ 22 მოკრივიდან შვიდმა ტურნირის პრიზიორობა მოიპოვა. I ადგილები დაიკავეს კახაბერ ბავარმა (თბილისი; 48 კგ), ხალილ შამედ-ზადემ (თბილისი; 54 კგ), მათე კოლუაშვილმა (ქუთაისი; 60 კგ), გია გოლეთიანმა (ქუთაისი; 66 კგ). ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს კობა ჯაილავამ (ქუთაისი; 48 კგ), ბერიკ სვანიძემ (ქუთაისი; 66 კგ), კახაბერ კაკაურიძემ (ქუთაისი; 70 კგ).

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს ნიკოლოზ ბორტნიკოვმა, იური შეპეტკოვმა, მეელუდ სარხუშოვმა, ვალერი ბურჯანაძემ და რამაზ ნიკოლაძემ.

ოთარ რაბიმოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

მკითხველი — გაზეთი

როგორც ცნობილია, საქართველოდან სეულის ოლიმპიურ თამაშებზე 16 სპორტსმენი გაეშგზავრება. მათ შორის არის ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე. მაგრამ აქამდე გაურკვეველი იყო, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრებიდან კონკრეტულად ვინ გამოვიდოდა სარბიელზე. რა გადაწყდა საბოლოოდ?

მზია გამყრელიძე,
თბილისი.

პასუხი: 8 სექტემბერს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის ლ. არკაევის ინტერვიუ. როცა ჰკითხეს, შეგიძლიათ თუ არა უკვე კონკრეტულად დაასახელოთ ოლიმპიელებიო, მან უპასუხა: შემიძლია. ვაჟთა გუნდი: ლ. ლიუკინი, ვ. არტემოვი, ვ. მოგილნი, ვ. ნოვიკოვი, ს. ხარკოვი, დ. ბილოზერჩევი, ვ. გოგოლაძე..."

ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯეჯერობით გოგოლაძე გუნდში ირიცხება, როგორც დემონსტრატორი, მაგრამ, ამავე დროს, რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში იგი ნაკრების ნებისმიერ წევრს შეცვლის. თუ ვ. გოგოლაძე სეულის ფიცარნაგზე გამოვა, იგი პირველი ოლიმპიელი ტანმოვარჯიშე ვაჟი იქნება საქართველოდან.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციაში

გაიმართა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის შედეგების შეჯამებას. სხდომას უძღვებოდა ფედერაციის თავმჯდომარე, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. ჩიკვაიძე (პრეზიდიუმის 28 წევრიდან ესწრებოდა 17. მის მუშაობაში ვერ შეძლეს მონაწილეობა ვერც გ. კასპაროვმა, რომელიც ამჟამად ბაქოშია, ვერც ა. კარპოვმა, რომელიც გაემგზავრა ტილბურგში, ტურნირში სათამაშოდ). აღინიშნა, რომ ტურნირი იყო ბრწყინვალედ ორგანიზებული და საბჭოთა საჭადრაკო გვარდიის ნამდვილ დათვალიერებად იქცა. ამასთან ერთად, იმ ფაქტმა, რომ ტურნირის დამთავრებისთანავე არ შედგა დამატებითი მატჩი ორ გამარჯვებულს — ა. კარპოვსა და გ. კასპაროვს შორის, უარყოფითად იმოქმედა ძალზე საინტერესო ჩემპიონატის საერთო შთაბეჭდილებაზე.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. აღინიშნოს, რომ რეგლამენტის მომზადებისას ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დაუშვეს უზუსტობანი, ხოლო საკავშირო ჭადრაკის ფედერაციის მსაჯთა კოლეგია არ ჩარეულა ამ საქმეში.

2. ყურადღება მიექცეს ჩემპიონატის გამარჯვებულთა უარს, გამოჩენილ იქნას კეთილგონიერება, არ უნდა დაიძაბოს საკონფლიქტო სიტუაცია, ანგარიში გაეწიოს ერთმახეთისა და საზოგადოებრივ აზრს;

3. ჩაითვალოს აუცილებლად სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის დამატებითი მატჩის გამართვა თავდაპირველი რეგლამენტით და შეთავაზებულ იქნას მისი ჩატარების შემდეგი პირობები: სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის 4 პარტიისგან შემდგარი მატჩი დაიწყოს 1988 წლის 25 დეკემბერს მოსკოვში, მოეწყოს ხელახალი წილისყრა. იმ შემთხვევაში, თუ 4 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იქნება — 2:2, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები გადაეცეს ორივე მონაწილეს;

4. შევთავაზოთ დიდოსტატებს გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს არა უგვიანეს 1988 წლის 1 ოქტომბრისა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას აცნობონ თანხმობა მატჩის თამაშზე ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით;

5. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი დიდოსტატი უარს იტყვის დამატებით მატჩზე აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მიენიჭოს მას, ვინც თანხმობას განაცხადებს თამაშზე; თუ ორივე მოჭადრაკე იტყვის უარს — სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონის წოდება არ მიენიჭოს არც ერთს;

6. ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონატის რეგლამენტის უნიფიკაციის მიზნით და უფრო მისაღები სისტემის შესადგენად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: დიდოსტატები ვ. სმისლოვი, ლ. პოლუგაევსკი, ნ. გაფრინდაშვილი, ვ. მიკენასი, ა. იუსუპოვი, საერთაშორისო არბიტრები ლ. ვახესაარი, ე. დუბოვი.

საკდესი.

ოლიმპიური მოზაბრავა

⊙ ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს ესპანელი ჟურნალისტი ემილიო სანხი. მან ეს საპატიო მისია ორჯერ უკვე შეასრულა, 1980 წელს მოსკოვის და 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადებზე.

⊙ თამაშეგბის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ავსტრიის ეროვნულ ალამს წაიღებს ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში პეტერ ზაიზენბაპერი. მანამდე კი ოლიმპიადის მონაწილენი ფედერალური პრეზიდენტის სასახლის წინ ფიცს დასდებენ.

⊙ არგენტინის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი კარლოს ბილარდო კატეგორიულად მოითხოვს, რომ გუნდში ჩაირიცხოს ამჟამად იტალიის „ვერონაში“ მოთამაშე ორი ფეხბურთელი, კლაუდიო კანიმია და პედრო ტრობლეო.

⊙ მონგოლეთის ღირსებას ოლიმპიადაზე 28 სპორტსმენი დაიცავს. დელეგაციაში შეყვანილი არიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, ძიუდოისტები, მოკრივეები, მშვილდოსნები და მესტენდურეები. სპეციალისტები სეულში ოთხი მედლის მიღებას ვარაუდობენ თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოსა და კრივში.

⊙ ურუგვაელი სპორტსმენები (15 ოლიმპიელი) მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის რვა სახეობაში. ამ ქვეყნის გულშემატკივრები მწარედ განიცდიან იმას, რომ კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა და ფეხბურთელებმა ცუდად ჩაატარეს შესარჩევი ტურნირები და ფინალის საგზურები ვერ მიიღეს.

⊙ მოზამბიკის სპორტი სეულში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ მძლეოსნებით, მოკრივეებითა და მოცურავეებით. ქვეყნის პრეზიდენტმა ჟოაკიმ ჩისანომ განაცხადა, რომ „სეულის ოლიმპიური თამაშები დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და ჩვენი სურვილია, რომ მოზამბიკი ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე იყოს“.

⊙ ჩინეთმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს საჩუქრად გადასცა „ბედნიერების ქვის“ 300-მდე ნატეხი, ეს შრავალფერი ქვა უკვე დიდი ხანია უცხოელი ტურისტების საყვარელ სუვენირად იქცა. ამ საჩუქრით ჩინელი სპორტსმენები კეთილ სურვილებს უძღვნიან ოლიმპიადას, მსოფლიოს ხალხებს კი — მშვიდობას.

⊙ ოლიმპიადის სამედიცინო ცენტრის სასწრაფო დახმარების ოთახი თამაშების პერიოდში დღეღამის . განმავლობაში იმუშავებს. ცენტრს ეყოლება 44 კვალიფიციური ექიმი და ამდენივე ექთანი.

⊙ ორგანიზატორებმა ოლიმპიადის სტუმრებს 6 ათასი თარჯიმანი გამოუყვეს. თამაშების დროს ყველაზე პოპულარული ენა ინგლისური იქნება.

⊙ ავსტრიელი აფროსნის ჰუბერტ რაუდაშლისთვის სეულის თამაშები მერვე ოლიმპიადაა.

მეოთხედფინალში ხელი მოეცარა

ნიუ-იორკი. აშშ-ს ჩოგბურთელთა დია ჩემპიონატის მეოთხედფინალში არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ სამ პარტიაში დაამარცხა ლარისა სავჩენკო (4:6, 6:4, 6:1) და გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ამერიკელი ა. გერისონი იქნება. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან შტეფი გრაფი (გფრ) და ცრის ევერტი (აშშ).

წარუმატებლად გამოვიდნენ ამ პრესტიჟულ ტურნირში საბჭოთა ქალებიც. პირველსავე წრეში დამარცხდნენ 15 წლის დნეპროპეტროვსკელი სერგეი პოსპელოვი, 16 წლის ნოვოკაზოველი ნატალია ბილეცკაია და 17 წლის კიეველი ნატალია მედვედიევა. ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ 17 წლის მოსკოველი ვლადიმერ პეტრუშენკო და ქალთა წყვილი (ვაჟთა დუეტმა ამის უფლება სასტარტო შეხვედრაშივე დაკარგა).

SOS

სპორტული სარბიელი მიიტაცეს

ნოსირელი მშრომელები სპორტს იმთავითვე უურადღებით ეკიდებოდნენ, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ორმოციანი წლებიდან და უფრო ადრეც სოფელს ფეხბურთის მოედანი ჰქონდა. სოფლის ახალგაზრდობა ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და მეზობელი სოფლების გუნდებთან შეჯახებებს მართავდა.

მართალია, ჩვენი სპორტული სარბიელი კეთილმოწყობილი არ იყო, მაგრამ მოედანი გვქონდა და, როგორც ვთქვით, ვთამაშობდით კიდეც, ოღონდ, რა თქმა უნდა, უკეთესი მომავლის იმედით. მართლაც, ცხაკაიის სპორტკომიტეტის თაოსნობით შარშან ჩვენი მოედანი შემოაკავეს, კეთილმოსაწყობად ხრეშიც მოზიდეს და მოასწორეს. ახე რომ, საქმეს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ პირიქით მოხდა — ჩვენს მოედანს „სოფლტექნიკა“ დაეპატრონა და სარბიელი მანქანებით აივსო. მერე ის „სოფლტექნიკა“ გაიყო და ახლა ჩვენი მოედანი აგრომრეწვის საწარმოს სამფლობელოდ იქცა, თუმცა, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მოედანი ახლა ვის უკავია. მთავარი ისაა, რომ სათამაშო ადგილი წაგვართვეს.

სხვაგან მოედნებსა და სპორტულ ბაზებს აშენებენ, ჩვენთან კი...

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ, რათა მოედანი დაგვიბრუნონ.

სოფლის ახალგაზრდები: ა. შუგლაძე, გ. ბარათელი, გ. გელელია, თ. ედიკაშვილი, დ. კოკაია, ჯ. კუპრეიშვილი, ლ. კილასონია და სხვები.

რედაქციისაგან: იმედია, ნოსირელი ახალგაზრდების გულისტკივილი უყურადღებოდ არ დარჩება. ველით პასუხს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომიდან.

კიდევ ერთი საკორესპონდენტო პუნქტი

ამას წინათ გაუწყეთ, რომ გაიხსნა „ლელოს“ ახალი ზონალური საკორესპონდენტო პუნქტი, რომლის სამომსახურო ზონაში შედის ზუგდიდის, ზობის, წალენჯიხის, აბაშის, ცხაკაიის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს რაიონები და ქალაქი ზუგდიდი.

დღეს გაცნობებთ ჩვენი გაზეთის კიდევ ერთი საკორესპონდენტო პუნქტის მისამართს: ქუთაისი, რუსთაველის პროსპექტი, 37-ა (პრესის სახლი). ტელეფონი — 5-27-14. „ლელოს“ ზონალური კორესპონდენტია თამაზ ხარაბაძე.

დამტკიცდა ამ პუნქტის სამომსახურო ზონაც: ქუთაისი, წყალტუბო, წულუკიძე, ვანი, მაიაკოვსკი, ორჯონიკიძე, ცაგერი, ონი, ამბროლაური.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8 სექტემბერი.

რრკ „ელმავალი“ (თბილისი)— ეტს (კრასნოიარსკი) 24:10 (8:4).

რრკ: გეგუჩაძე; ხვედელიძე, მანთიძე, ჭეიშვილი, საცერაძე. ჩავლეიშვილი, გაბრიჩიძე; ბაკურაძე, კაკაბაძე, კ. გიუნაშვილი, ხუადე, კაშია, მონიავა, გ. გიუნაშვილი, ჯაფარაშვილი.

ეტს: მოჩნევი; კუპერმანი, ხომიაკოვი, პერვუხინი, კარპოვი; გამოსკინი, კრასნობაევი; ხრამოგინი, ვოლფი, ბიკბოვი, აშურკა, კრიკსა, მალინინი, ნეგოდინი, კოეუხოვი.

მსაჯი ვალერი მასლოვი (მოსკოვი).

გოლები: რრკ — 5 ლელო (31, ბაკურაძე; 37, ხვედელიძე; 63, გაბრიჩიძე; 70, ჩავლეიშვილი; 74, მანთიძე), 2 რეალიზაცია (64, საცერაძე; 74, ჩავლეიშვილი); ეტს — 2 ლელო (19, კუპერმანი; 45, მოჩნევი), რეალიზაცია (46, პერვუხინი).

ძნელია, გადაუჭარბებლად შევაფასოთ გუშინწინდელ მატჩში რკინიჩელთა გამარჯვების მნიშვნელობა. თბილისელებმა ბოლო ორ სეზონში კრასნოიარსკელ რეგბისტებთან გამართული ხუთიდან შეხვედრა წააგეს, რითაც ციმბირელთა გუნდისადმი ერთგვარი შიში და მორიდება ჩაუნერგეს თავიანთ ქომაგებს. მაგრამ ამჯერად მასპინძლებმა თვალსაჩინოდ დამტკიცეს, რომ ეტს უძლეველი არ ყოფილა. თუ მის წინააღმდეგ თავგანწირვით ითამაშებ, არაფერს დაუთმობ, დაითრგუნავ განუწყვეტელი შეხლა-შემოხლით გამოწვეულ ტკივილს და მეტოქეს შენს ნება-სურვილს მოახვევ თავს, გამარჯვებაც მოვა.

ციმბირელებმა, რომლებსაც სატურნირო თვალსაზრისით მოგება არაფერს აძლევდათ, მაგრამ კარგად ჰქონდათ შეგნებული მატჩის პრესტიჟულობა, ღირსეულად იბრძოლეს, სრულად გამოავლინეს თავიანთი ძალა, მატჩის განმავლობაში ორჯერ დაწინაურდნენ. სტუმრები, როგორც კი ბურთს მოიხელთებდნენ, გააზრებულად, მწვავედ და ლამაზად უტევდნენ. თბილისელთა სამაგალითო ზავდადება და ბრძოლის ჟინი რომ არა, ციმბირელებს ვერაფერი შეაჩერებდა. მაგრამ მასპინძლებმა ამ დღეს სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გვიჩვენეს. მორკინალებმა მეტოქეს აჯობეს დერეფანშიც, მოლშიც, ზედახორებშიც, შერკინებაშიც არაერთხელ დაახევინეს უკან, გაბრიჩიძემ კი იმდენი მოახერხა, რომ შერკინებიდან ბურთის გამოტანა მეტოქეს საერთოდ სათუო გაუხადა, დაცვაში, ორიოდე გამონაკლისის გარდა, საკმაოდ კარგად ითამაშა სამეოთხედელთა ხაზმა. მაგრამ თბილისელებმა თავი მაინც უფრო შეტევაში გამოიჩინეს. ისინი ამჯერად მეტწილად მესამე ხაზის მორკინალებს აწყებინებდნენ იერიშს, დანარჩენი მოთამაშეები კი კარგად ეხმარებოდნენ მათ და ბურთიც თითქმის არსად ყოვნდებოდა. ამითაც აიხსნება თბილისელთა დიდი უპირატესობა, რაც, დამრტყმელთა უხეირო თამაშის მიუხედავად (უზუსტო დარტყმებით მასპინძლებმა ნაღდი 12 ქულა დაკარგეს), ბატანილ ხუთ ლელოშიც კარგად აისახა. მათგან გადამწყვეტი იყო პირველი და მესამე, როცა ბაკურაძემ მოლში მიღებული ბურთით გაარღვია მეტოქის დაცვა, გაბრიჩიძემ კი თბილისელთა იერიშის შემდეგ სტუმართა კარის ხაზთან დანიშნულ შერკინებაში ციმბირელთა შერკინების შემკვრელის ფერხთით დაამწყო ბურთი. ყველაზე ლამაზი კი მაინც მეოთხე ლელო იყო, რომლის გატანაში თითქმის მთელმა უკანა ხაზმა მიიღო მონაწილეობა.

ამავე ტურში ქუთაისის „მშენებელმა“ მოსკოვში მოუგო ადგილობრივ „ლოკომოტივს“ — 19:12. მეორე ეტაპის ბოლო ტურში, 11 სექტემბერს, თამაშობენ „მშენებელ“ — ეტს, „ლოკომოტივი“ — რრკ. დღესდღეობით „ა“ ჭეჭგუფში „მშენებელს“ 70 ქულა აქვს (1 „ოქროსი“), ეტს-ს — 64 (3), „ლოკომოტივს“ — 59 (3), რრკ „ელმავალს“ — 52 (1). ასე რომ, ჩვენმა გუნდებმა ახლა „ოქროს ქულების“ მარაგის შესავსებად უნდა იბრძოლონ.

„ბ“ ჭეჭგუფში მატჩები ასე დამთავრდა: „სლავა“ (მოსკოვი) — სსა (მონინო): 20:9, „ავიატორი“ (კიევი) — ასკ (ალმა-ათა) 6:16. ამრიგად, სსა-მ და ასკ-მ პირველ ოთხეულში თამაშის უფლება მოიპოვეს. ბოლო ტურის წინ (სსა — ასკ, „სლავა“ — „ავიატორი“) სსა-ს 67 ქულა (1 „ოქროსი“) აქვს, ასკ-ს — 62 (3), „სლავას“ — 60 (1), „ავიატორს“ — 56 (3).

„ელმავალი“—ეტს. ამ სურათზე ბურთით ხელში აღბეჭდილია თბილელთა შერკინების ნახევარმცველი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო უკანა ხაზების მოთამაშეთა შორის.

ახალი მსოფლიო რეკორდი

ამ დღეებში მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში შვედმა პატრიკ შიობერგმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „სეზონის დასაწყისში მიღებული ტრავმა ოდნავადაც არ მაწუხებს. თავს კარგად ვგრძნობ, გაცილებით უკეთ, ვიდრე შარშან. ჩემი აზრით ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი სეულში მე ვიქნები.“.

უფლება არ გვაქვს სახელოვანი სპორტსმენის სიტყვები არ ვირწმუნოთ. შიობერგი მართლაც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება სიმაღლეზე ხტომაში...

ორიოდე დღის წინ ესპანეთის ქალაქ სალამანკადან სენსაციური ცნობა მოვიდა. იქ მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირში 22 წლის კუბელმა მხტომელმა ხავიერ სოტომაიორმა პატრიკ შიობერგის მიერ 1987 წლის 6 ივნისს დამყარებული მსოფლიო რეკორდი 1 სანტიმეტრით გაუმჯობესა. კუბელმა მძლეოსანმა 243 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია.

შიობერგს სოტომაიორის სახით სეულში ღირსეული კონკურენტი ეყოლებოდა, მაგრამ... კუბა XXIV ოლიმპიურ თამაშებში, სამწუხაროდ, მონაწილეობას არ მიიღებს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების კალენდრების თაობაზე ბოლო წლებში მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა ცენტრალურ პრესაში, უკმაყოფილონი არიან ყველანი — მაყურებლებიც, სპეციალისტებიც, ფეხბურთელებიც, გუნდების ხელმძღვანელებიც და ერთადერთნი, მხოლოდ ამ კალენდრების ავტორები არიან, ვინც აღუფფოთებელ ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებენ.

მართლაც, უკვე კარგა ხანია საფეხბურთო კალენდრის საქმე ჩვენში ვერაა რიგიანად მოწესრიგებული. უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებათა განრიგს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი და სხვა საფეხბურთო ორგანიზაციები წინასწარვე, რამდენიმე წლით ადრე ადგენენ, იქ თავიდანვე ყველაფერი გარკვეული, დადგენილი და ნათელია, წარამარა არაფერი იცვლება, მაგრამ ჩვენში ამ საქმის მოგვარება არა და არ იქნა. კალენდარში ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე არის ხოლმე აღნიშნული, რომ შესაძლოა მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები და გადაადგილებანი.

წლევანდელ გათამაშებაშიც მრავალი ასეთი „გუთვალისწინებელი“ ცვლილება მოხდა და თვით ის მატჩიც, რომელიც განვლილ ხუთშაბათს შედგა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩვენს გუნდსა და კიევის „დინამოს“ შორის, პირველწრის „მონარჩენია“. იგი მე-13 ტურში უნდა გამართულიყო 30 ივნისს, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებით გადაიტანეს პირველი წრიდან, აგრეთვე, ჯერ კიდევ გამოტოვებულია მატჩი ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის. ყველაფერი ეს არაერიტმულს, იმპულსურს ხდის სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მსვლელობას.

ამრიგად, პირველი წრის მატჩი თანაკლუბელთა შორის:

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 1:1 (1:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 8 სექტემბერი.

თბილისი: **გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, ხულაჭველიძე, ცაავა (გურული, 76), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი (თედეევი, 62).**

კიევი: **ჩანოვი, ბესონოვი, ბალი, კუზნეცოვი, დემიანენკო (შმატოვალენკო, 79), რაცი, გორინი, ლატოვჩენკო, იარემჩუკი, პროტასოვი, ბელანოვი.**

მსაჯი ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

კიეველ ფეხბურთელთა სტუმრობა თბილისში მუდამ მნიშვნელოვანი მოვლენაა, განსაკუთრებით კი ბოლო ათეულ წლებში, როცა ამ გუნდმა ჩვენს ფეხბურთში უდავო ლიდერის როლი დაისაკუთრა. კიეველები უმაღლესი კლასის ფეხბურთს თამაშობენ, თბილისელ გულშემატკივარს კი სწორედ ასეთი თამაში უყვარს და ამიტომაც სალისით ესწრება კიეველთა მატჩებს.

გუშინწინდელი შეხვედრა თბილისელთა სწრაფი იერიშებით დაიწყო, უკვე პირველივე წუთებზე ფანცულაიამ ძლიერად დაარტყა და ჩანოვი თამაშში ჩაება. მაგრამ კიეველებმა სულ მალე გამოასწორეს მდგომარეობა და ბრძოლამაც შუა მინდორში გადაინაცვლა.

მიმდინარეობდა 21-ე წუთი, როცა ჭედია სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, იქ მას უხეშად ეთამაშა ბალი და ა. ბარიშნიკოვმა 11-მეტრიან წერტილზე მიუთითა. თბილისელებმა დარტყმა გოგიჩაიშვილს მიანდეს, ჩანოვმა წამით დაგვიანა და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

ამ გოლს კიეველმა ფეხბურთელებმა რამდენიმე შეტევით უპასუხეს, ტაიმის დასასრულს პროტასოვს, ბელანოვს მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ, 50-ე წუთზე პროტასოვმა კარგად გამოიყენა შასპინძელთა შეცდომების შეუთანხმებლობა და ზუსტი დარტყმით ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მატჩის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო, მინდორზე ბევრი რამ საინტერესო შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ მეტოქეებმა დინჯი, პოზიციური, აკადემიური თამაში აირჩიეს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როცა არზიანმა და თედეევმა სახიფათოდ დაარტყეს კარში, შემდეგ მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. ამას თავისი გამართლებაც აქვს: კიევის „დინამოს“ ახლა ჩემპიონობის მოპოვების საუკეთესო პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია, ვინაიდან მისმა ძირითადმა მეტოქეებმა „დნეპრმა“ (10) და „სპარტაკმა“ (9) დაწესებულ ფრეთა ლიმიტს მიაღწიეს, კიევის გუნდს კი ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა ცალკეულ მატჩებში თითო ქულაც აიღოს, ამავე დროს, თბილისის „დინამო“ თანდათან სცილდება საფიფათო ზონას, ყოველ შემთხვევაში, ბოლოსწინა, სამედისწერო ადგილს მას 5 ქულა აშორებს, ამიტომაც ქულის აღება ორივე მხარეს აძლევდა ხელს. შესაბამისად ამისა თამაში გაურთულებლად მიმდინარეობდა, რისკზე არც ერთი მხარე არ წავიდა და მატჩიც ფრედ დამთავრდა — 1:1. ეს ფრე ორივე გუნდის სატურნირო, სტრატეგიული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, თუმცა მაყურებელთა პრეტენზიებიც გასაგებია. მათ, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოს“ გამარჯვება ეწადათ და, საერთოდ, დაძაბული, საინტერესო თამაშის ნახვა სურდათ.

ახლა საკავშირო ჩემპიონატში 17 სექტემბრამდე შესვენებაა, 17 სექტემბერს თბილისის „დინამო“ ვილნიუსში შეხვდება „ჟალგირისს“. ხოლო 25 სექტემბერს, 24-ე ტურში, ჩვენი გუნდი შინ მოსკოველ „ლოკომოტივს“ ეთამაშება.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ⊙ **მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის**

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	23	12	10	1	35-17	34
2. „დინამო“ (კიევი)	21	12	7	2	32-12	31
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	22	10	9	3	30-18	29
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	21	11	6	4	27-18	28
5. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	22	9	7	6	29-24	25
6. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	8	7	6	27-22	23
7. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	22	8	7	7	29-28	23
8. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	22	8	4	10	18-25	20
9. „არარატი“ (ერევანი)	21	7	6	8	16-21	20
10. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	23	6	8	9	22-28	20
11. „შახტიორი“ (დონეცკი)	21	6	7	8	21-22	19
12. „დინამო“ (მინსკი)	21	5	8	8	20-23	18
13. „დინამო“ (თბილისი)	22	7	3	12	24-31	17
14. „დინამო“ (მოსკოვი)	21	5	6	10	19-26	16
15. „ნეფტჩი“ (ბაკო)	21	4	4	13	19-33	12
16. „კაირატი“ (ალმა-ათა)	22	4	3	15	16-36	11

საქართველოს ჩემპიონატი

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურის შეხვედრები.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ქოქაშვილი („დურუჯი“), სდლოლაშვილი („არმაზი“).

„ხულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ბაკო) 4:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: პაიკიძე-2, ბრეგვაძე, შარაშენიძე („ხულორი“), გოგიაშვილი („დინამო“).

„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:1.

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:2, მსაჯი ვ. ხეჩინიანი (თბილისი). გოლები: კაციტაძე, ქომეთიანი („კოლხეთი“).

„მაღნეული“ (ბოლნისი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1. მსაჯი ე. ხალაგავა (თბილისი). გოლები: ჯაგოვი-3, („მაღნეული“), ოდიშარია („ხალხინო“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი ვ. ხეჩინიანი (თბილისი). გოლები: ანიაშვილი-2 (ფიზკულტურის ინსტიტუტი), კვირიტია („სპური“).

მსაჯთან კამათისათვის გააფრთხილეს მ. ლაცაბიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხოლო უხეში თამაშისათვის — დ. ჩალიგავა („სპური“).

„მაღაროელი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:1. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: ხუბულური-2, ჭაუჩიძე, ერაძე („მაღაროელი“), სიუკაევი („მეტალურგი“).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისათვის გააფრთხილეს ლ. ფრუიძე („მეტალურგი“), ერთმანეთთან კინკლაობისათვის — გ. კაციაშვილი („მეტალურგი“) და გ. ქველაძე („მაღაროელი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი (ჯორის რ-ნი) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ვალაშვილი-2, ხოხობაშვილი („ბახტრიონი“), იკოევი („ქართლი“).

„ოვერია“ (ბაშური) — „მაღრეკანი“ (წყალტუბო) 2:1. მსაჯი ა. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ხარაზაშვილი, ზვიადაძე („ოვერია“), გვაძაბია („მაღრეკანი“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ვ. ხუბეჟიშვილი, ზ. ხუბეჟიშვილი („სპარტაკი“), გუჩუა („ამირანი“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 6:2. მსაჯი ვ. კობალაშვილი (თბილისი). გოლები: კვიტია-2, მალანია-2, ვ. ფუთბერიძე, აფაქიძე („დინამო“), ჯეჯელავა, გერგელი („ეგრისი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. გერგელი („ეგრისი“).

საქართველოს პირველობა I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ხულორი“	26	18	5	3	41-13	41
„კოლხეთი“	26	18	5	3	63-39	41
„დინ.“ ზ.	26	15	10	1	62-28	40
„მაღრეკანი“	26	13	6	7	42-32	32
„ამირანი“	26	13	5	8	41-25	31
„მაღნეული“	26	10	8	8	46-42	28
„სამეგრ.“	26	13	1	12	45-44	27
„დინ.“ გ.	26	12	3	11	33-32	27
„დურუჯი“	25	9	9	7	29-31	27
„სპარტაკი“	26	9	6	11	41-42	24
„ოვერია“	26	8	7	11	29-40	23
„მეშახტე“	26	8	7	11	23-35	23
„მეტალურ.“	25	9	4	12	42-40	22
„მაღარ.“	26	9	4	13	35-45	22
„საპოვნ.“	26	8	6	12	35-36	22
„ბახტრ.“	25	8	6	11	30-38	22
„ხალხინო“	26	8	4	14	36-47	20
„ეგრისი“	26	7	6	13	28-50	20
„არმაზი“	26	6	8	12	33-43	20
„ქართლი“	26	7	5	14	28-44	19
ფიზ. ინ. თბ.	23	5	8	10	33-44	18
„სპური“	26	6	5	15	32-47	17

მსაჯთა რეესტრი

10-11 სექტემბერი

„სპური“ (წალენჯიხა) — „მაღაროელი“ (ციათურა). **მ. გარნოვსკი, გ. კვანტალიანი, ა. ჯულაიძე (სამტრედია).** „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **ი. კანდელაკი, ო. გუნთაძე** (თბილისი), **ა. ყიფიანი** (მცხეთა). „მეშახტე“ (ტყიბული) — „დურუჯი“ (ყვარელი). **რ. ტალიაშვილი, თ. ხოფრიაძე, ა. თოდუა** (თბილისი). „ქართლი“ (ჯორის რ-ნი) — „ოვერია“ (ბაშური). **დ. მენთეშაშვილი** (თბილისი), **გ. შავგულიძე, ვ. დათიაშვილი** (რუსთავი). „მაღრეკანი“ (წყალტუბო) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **ა. შილაკაძე, რ. ვერულაშვილი, გ. ხეჩინაშვილი** (თბილისი). „დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (გაგრა). **ნ. შავიშვილი, კ. დავიდიანი, ნ. შუხაშავრია** (ბათუმი). „არმაზი“ (მცხეთა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **ვ. ხეჩოიანი, დ. მენთეშაშვილი** (თბილისი), **გ. შავგულიძე** (რუსთავი). „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სპოვნელა“ (თერჯოლა). **რ. ვერულაშვილი, ა. შილაკაძე, ვ. ხეჩინაშვილი** (თბილისი). „კოლხეთი“ (ხობი) — „ხულორი“ (ვანი). **კ. დავიდიანი, ნ. შავიშვილი, ნ. შუხაშავრია** (ბათუმი). „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მაღნეული“ (ბოლნისი). **ო. გაგუა, ვ. ტოროხიანი, ა. ხაშხარაძე** (სოხუმი). „ხალხინო“ (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). **თ. ლაცაბიძე, ი. კანდელაკი, ო. გუნთაძე** (თბილისი).

ინტერვიუ პრესის ლოჟაში

თბილისელ და კიეველ თანაკლუბელთა მატჩს ესწრებოდა ჩვენი დედაქალაქის სტუმარი, მექსიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ელ ფინანსიროს“ საერთაშორისო განყოფილების დირექტორი ალეხანდრო რამოსი. ეს საუბარი მატჩის შემდეგ შედგა პრესის ლოჟაში.

⊙ **რას იტყვით მეტოქე გუნდების შესახებ?**

— ბევრი კიეველი ფეხბურთელის თამაში მექსიკაში ვნახე მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ცხადია, მაინტერესებდა თქვენი გუნდის ნახვაც. ახლა ამ შემთხვევას, რა თქმა უნდა, ხელიდან არ გავუშვებდი, მით უფრო, რომ ქართული გუნდის დირსებებს უკეთ დავინახავდი ისეთ ძლიერ გუნდთან პაექრობაში, როგორიცაა კიევის „დინამო“.

⊙ **დაინახეთ?**

— დავინახე, ნამდვილად პერსპექტიული გუნდი გყავთ.

⊙ **ალბათ ნაკლოვანებასაც შენიშნავდით...**

შუა ხაზის მოთამაშე ე. წ. დირიჟორი რომ გყავდეთ, დარწმუნებული ვარ, უფრო ძლიერად და უფრო ლამაზად ითამაშებდა თქვენი გუნდი.

⊙ **ცალკეული მოთამაშეებიდან ვინ მოგეწონათ?**

— ძალიან კარგი იყო № 4, № 9 და № 10. მეხიკოს სტუდენტთა საფეხბურთო კლუბი დიდი სიამოვნებით მოიწვევდა მათ თავიანთ გუნდში.

⊙ **სტუდენტთა კლუბებიც იძენენ ფეხბურთელებს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ თითოეულში მაქსიმუმ ორ მილიონ დოლარზე მეტს არ იხდიან.

⊙ **ფეხბურთში ღრმად ჩახედული ბრძანდებით...**

— უნივერსიტეტში სწავლისას სტუდენტთა კლუბში ვთამაშობდი.

მაღალი წოდება მიენიჭათ

სსრ კავშირის სპორტსახკომის კოლეგიამ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებს: ს. ალეინიკოვს („დინამო“, მინსკი), რ. დასაევს („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. ხიდიატულინს (ამჟამად საფრანგეთის „ტულუზაში“ გამოდის), გ. ლიტოვჩენკოს, ა. მიხაილიჩენკოს და ო. პროტასოვს (ყველანი — „დინამო“, კიევი).

კვლავ მუშტი-კრივი

ბელგიის პოლიციის სპეციალური რაზმები მხოლოდ გვიან ნაშუადამევს დაბრუნდნენ თავიანთ ყაზარმებში. ისინი საგანგაშო წესით იყვნენ მიხმობილი იმ დებოშის სალიკვიდაციოდ, რომელიც ანტვერპენში მოხდა ადგილობრივი საფეხბურთო კლუბისა და „ბეერსჰოტის“ მორიგი კალენდარული მატჩის შემდეგ.

ანტვერპენელმა გულშემატკივრებმა იწყინეს თავიანთი გუნდის წაგება ანგარიშით 1:5 და ჯერ კიდევ ფინალურ სასტვენამდე წამოიშალნენ, რათა ანგარიში გაესწორებინათ ჩამოსული გულშემატკივრებისათვის. ინციდენტის სავალალო შედეგია გადაყირავებული ტრამვაის ვაგონი, მწყობრიდან გამოყვანილი, დაზიანებული ავტომანქანები და დაშავებული ადამიანები.

როგორც გაზეთი „დერნიერ ერი“ იუწყება, დებოშის მოთავენი იყვნენ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების აბალგაზრდები, რომლებიც თავიანთი იდეების პროპაგანდისა და დემოკრატიული მოძრაობის საწინააღმდეგოდ იყენებენ ადამიანთა დიდი თავშეყრის ადგილებს სპორტულ ღონისძიებებზე. ბელგიის-ფეხბურთის ფედერაცია, გაზეთის ცნობით, სერიოზულად შეშფოთებულია და გზებს ეძებს ხულიგანთა სტადიონებზე დასწრების აღსაკვეთად. რაც შეეხება ბელგიის სპორტულ საზოგადოებრიობას, მისი აზრით, ამგვარი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა იმ იაფფასიანი ტრიბუნების „წმენდა“, სადაც ახალგაზრდა გულშემატკივრები იყრიან თავს.

სოჭის ტრადიციული

სოჭში მიმდინარეობს ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი „როსია“. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ ქალთა XXIII საერთაშორისო ტურნირში გამოდის ჩვენი თანამემამულე, საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუციშვილი. გუშინ იგი ტელეფონით დაგვიკავშირდა. აი, რა გვითხრა მან.

— ტურნირზე მოგვიანებით ჩავედი, ვინაიდან ორგანიზატორებს დაგვიანდათ შეტყობინების გამოგზავნა. ამდენად, წელისურამ უჩემოდ ჩაიარა და ვერც პირველ ტურს ჩავესწარი. წელისურის მიხედვით მონაწილენი ასე განაწილდით სატურნირო ცხრილში: თ. ხუციშვილი, ტ. სტეპოვაია (კრასნოდარი), ი. ოვჩინიკოვა (პერმი), ტ. შუმიკინა (ჩელიაბინსკი), ა. რიბელი (გდრ), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ტ. რუბცოვა (ლენინგრადის ოლქი), ე. სოსნოვსკა (პოლონეთი), ი. კულიში (კრასნოიარსკი), ი. ლევიტინა (ლენინგრადი), ს. შენჩი (იუგოსლავია), ვ. სკორა-ვიეინსკა (პოლონეთი), ხ. ხმელოვა (ჩეხოსლოვაკია), ლ. ლიუბარსკაია (სოჭი).

უკვე ხუთმა ტურმა განვლო. შეჯიბრებას 4 ქულით ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი ირინა კულიში (კრასნოიარსკი). 3,5 ქულა მოაგროვა ტატიანა რუბცოვამ. მე 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია მაქვს.

აქვე გეტყვით, რომ დაწესებულია საერთაშორისო ოსტატის ნორმა — 8 ქულა.

აქვე პარალელურად მიმდინარეობს მეხეილ ჩიგორინის XXII მემორიალი ვაჟთა შორის, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს.

5 ტურის შემდეგ 3 ქულით დაწინაურდა იოან არნასონი (ისლანდია). 2,5-2,5 ქულა აქვთ ლევ ფსახისსა და ევგენი ბარეევს.

I ლიგა

8 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 31-ე ტურის მატჩები.

სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში წარმატებას მიაღწიეს საქართველოს გუნდებმა. ლანჩხუთის „გურიამ“ ნიკოპოლში დიდი ანგარიშით — 3:0 დაამარცხა ადგილობრივი „კოლოსი“, ბათუმის დინამოელებმა კი ზაპოროჟიეში ფრედ ითამაშეს „მეტალურგთან“ — 1:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) ცსკა 3:0, ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 4:1, „პამირი“ (დუშანბე) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 4:0, „ჯოტაიკი“ (აბოვიანი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1, „უუბანი“ (კრასნოდარი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	30	19	8	3	57-25	46
„როტორი“	29	16	4	9	49-26	36
ცსკა	30	14	8	8	41-25	36
„ფახთაქ.“	30	14	8	8	42-27	36
„დინ.“ სტ.	30	14	8	8	41-29	36
„გურია“	28	15	4	9	44-29	34
„დაუგავა“	29	13	6	10	42-35	32
„გეოლოგი“	30	13	5	12	35-39	31
ასკ „კარპ.“	29	12	7	10	39-23	31
„როსტსელ.“	29	12	7	10	40-41	31
ასკ რ.	29	12	7	10	39-40	31
„ტავრია“	30	10	10	10	28-28	30
„სპარტაკი“	30	11	6	13	41-44	28
„ჯოტაიკი“	30	11	5	14	38-57	27
„შინიკი“	30	10	7	13	31-35	27
„მეტალურ.“	30	9	8	13	22-32	26
„კუზბასი“	30	7	12	11	21-30	26
„დინ.“ ბ.	28	10	4	14	25-32	24
„ზარია“	29	8	7	14	35-42	23
„უუბანი“	30	8	6	16	26-43	22
„ზვეზდა“	30	5	9	16	25-56	19
„კოლოსი“	30	6	6	18	21-44	18

საქართველოს გუნდები შემდგომ ტურშიც, რომელიც 11 სექტემბერს გაიმართება, სტუმრად გამოდიან: ლანჩხუთის „გურია“ ზაპოროჟიეში შეხვდება „მეტალურგს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ — ნიკოპოლში „კოლოსს“.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: „დრუჟბა“(მაიკოპი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 3:1, „ნარტი“ (ჩერკესკი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

III ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპ.“	29	16	6	7	46-32	38
„ცემენტი“	26	14	7	5	33-21	35
„სპარ.“ ნჩ.	26	15	3	8	42-25	33
„სპარ.“ ოქ.	28	14	4	10	50-36	32
„კოლხეთი“	29	14	4	11	41-40	32
„სპარტ.“ ტმ.	27	15	1	11	39-40	31
„ლორი“	28	14	3	11	38-41	31
„მერკურ.“	29	14	2	13	37-40	30
„დრუჟბა“	28	13	4	11	43-29	30
„ლოკომ.“	28	13	4	11	41-39	30
„მეტალ.“	25	12	4	9	46-26	28
„დინამო“ ს.	29	11	6	12	38-36	28
„მაშუკი“	27	9	9	9	30-28	27
„ლუჩი“	29	10	5	14	29-31	25
„ისკრა“	29	10	3	16	31-54	23
„ურალანი“	28	9	4	15	43-44	22
„ნარტი“	28	8	6	14	33-43	22
„სპარ.“ ან.	28	9	2	17	29-41	20
„ვოლგარი“	27	9	2	16	28-40	20
„ოლიმპია“	28	8	4	16	28-56	20

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა მორიგ კალენდარულ მატჩში თბილისის „ლოკომოტივი“ ომც გროზნოს „თერგს“ უმასპინძლა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:.1.

5 და 8 სექტემბერს ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ორი მატჩი გამართეს საკუთარ მინდორზე. 5 სექტემბერს ტორპედოელებს XXIII ტურის გადმოტანილი შეხვედრა ბაქოს „ბაკინეცთან“ ჰქონდათ, შეხვედრა გათამაშების ლიდერის სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 7:0. ბურთები გაიტანეს კაჭარავამ-2, მეგრელაძემ, კიკლიაშვილმა, დ. თვალაბეიშვილმა, შეყირილაძემ და ე. თევზაძემ.

XXII ტურის შეხვედრა კი ტორპედოელებმა სუმგაითის „ხაზართან“ გამართეს. ავტოქარხნელებმა ეს მატჩიც დიდი ანგარიშით მოიგეს — 3:0. ამ შეხვედრაში ბურთები გაიტანეს მეგრელაძემ და თევზაძემ-2.

12 სექტემბერს ქუთაისის ტორპედოელები საბჭოთა კავშირის თასის მერვედფინალურ მატჩს გამართავენ სტუმრად ალმა-ათის „კაირატთან“.

ევროპის საკლუბო ტურნირები

დაიწყო 1988-89 წლების ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში. 7 სექტემბერს შედგა პირველი ეტაპის მატჩები, გათამაშებაში ჩაება სსრ კავშირის ექვსივე გუნდი.

როგორ შეიძლება შეავფასოთ ჩვენი კლუბების სასტარტო შედეგები? **ჩემპიონთა თასის** მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა“ შინ მიიღო ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ეს შედეგი დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ორი ბურთის უპირატესობა, ჩვეულებრივ, საკმარისი გარანტიაა საპასუხო მატჩისთვის. სპარტაკელებმა ეს თამაში ბელფასტში უნდა გამართონ, ისინი კი წარმატებით გამოდიან მეტოქეთა მინდვრებზე.

თასების მფლობელთა თასზე ასეთივე ანგარიშით დამთავრდა იუგოსლავიის „ბორაციისა“ (ქ. ბანია-ლუკა) და ხარკოვის „მეტალისტის“ შეხვედრა იუგოსლავიელთა სასარგებლოდ. ლოგიკა გვკარნახობს, რომ თუ „სპარტაკისთვის“ ანგარიში 2:0 სავსებით დამაკმაყოფილებელია, იგივე შეიძლება ითქვას „ბორაციზეც“, რომელიც პირველ მატჩში ორი ბურთით დაწინაურდა. მაგრამ არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში გამარჯვებულებს საბოლოო წარმატების ნაღდი გარანტია მაინც არა აქვთ, საპასუხო მატჩებში მათაც დაძაბული ბრძოლა მოუწევთ.

ანალოგიური მდგომარეობა შეექმნათ უეფა-ს თასის ოცდამეთორმეტედფინალში ვილნიუსის „ჟალგირისს“ და შვეიცის „მალმეს“. ვილნიუსელებმა შინ მოუგეს ავსტრიის დედაქალაქ ვენის „აუსტრიას“, შვეიცის „მალმემ“ კი თავის მინდორზე დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“. ანგარიში ორივე შემთხვევაში ერის 2:0. აქაც იმის იმედით უნდა დავრჩეთ, რომ „ჟალგირისი“ შეინარჩუნებს წარმატებას, ხოლო მოსკოველ ტორპედოელები თავიანთ მინდორზე უკეთ ითამაშებენ და გარდატეხას მიაღწევენ შვეიცის ფეხბურთელებთან.

უდავო წარმატებაა მინსკის „დინამოს“ გამარჯვება ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ადგილობრივ „თრაკიასთან“ — 2:1. ეს მოგება შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გასვლის კარგი საწინდარია, მაგრამ დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ შინ მხოლოდ ფრედ ითამაშა საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ბორდოსთან“ — 1:1, ეს „ბორდოს“ ფეხბურთელებს საპასუხო მატჩში გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.

ასე რომ, საბჭოთა კლუბები საპასუხო მატჩებში გარკვეული პრობლემების წინაშე იმყოფებიან.

ევროპის საკლუბო გათამაშებათა სტარტზე **ჩემპიონთა თასის** ტურნირში, უპირველეს ყოვლისა, გამოსარჩევია ბერლინის „დინამოსა“ (გდრ) და ბრემენის „ვერდერის“ (გფრ) შეხვედრა. ამ მატჩს დიდი ინტერესით მოელოდნენ, მაგრამ ანგარიში 3:0 დინამოელთა სასარგებლოდ აშკარა მოულოდნელობაა, ამიტომაც ამ გუნდების საპასუხო შეხვედრას, რომელიც ბრემენში შედგება, კიდევ უფრო მეტი ინტერესი მიეცა. ჩემპიონთა თასზე სხვა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩეხოსლოვაკიის „სპარტის“ მარცხს საკუთარ მინდორზე რუმინეთის „სტიაუასთან“ — 1:5.

თასების მფლობელთა თასზე საფრანგეთის „მეცმა“ შინ ანგარიშით 1:3 წააგო ბელგიის „ანდერლეხტთან“, ესეც მოულოდნელობაა.

უეფა-ს თასზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა პორტუგალიის „სპორტინგისა“ და ჰოლანდიის „აიაქსის“ მატჩი. პორტუგალიელებმა ანგარიშით 4:2 დაამარცხეს ძლიერი მეტოქე, საპასუხო მატჩში აქაც შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი.

• • •

ჩემპიონთა თასი

მეთექვსმეტედფინალი

I წრე

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ) — „გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია) 2:0

„სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — „სტიაუა“ (რუმინეთი) 1:5

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „მოსი“ (ნორვეგია) 3:0

„პეზოპორიკოსი“ (კიპროსი) — „გოტებორგი“ (შვეიცია) 1:2

„ბრიუგე“ (ბელგია) — „ბრონდბიუ“ (დანია) 1:0

„პორტო“ (პორტუგალია) — ხიკ (ფინეთი) 3:0

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ვერდერი“ (გფრ) 3:0

„რაპიდი“ (ავსტრია) — „გალათასარაი“ (თურქეთი) 2:1

„ვიტოშა“ (ბულგარეთი) — „მილანი“ (იტალია) 0:2

„ჰამრუნ სპარტანსი“ (მალტა) — „17 ნენტორი“ (ალბანეთი) 2:1

„გურნიკი“ (ზაბეე, პოლონეთი) — „ყიონესი“ (ლუქსემბურგი) 3:0

„ლარისა“ (საბერძნეთი) — „ქსამაქსი“ (შვეიცარია) 2:0

„ჰონვედი“ (უნგრეთი) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 1:0

„დანდალკი“ (ირლანდია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 0:5

„ვალიური“ (ისლანდია) — „მონაკო“ 1:0

თასის მფლობელი, ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“ პირველი წრის თამაშებიდან განთავისუფლებულია.

თასების მფლობელთა თასი

წინასწარი წრე

„ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი) — „ბრიუნე“ (ნორვეგია) 3:0, 1:2

მეთექვსმეტედფინალი

I წრე

„ბორაცი“ (იუგოსლავია) — „მეტალისტი“ (ხარკოვი, სსრკ) 2:0

„ფრამი“ (ისლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0:2

„ომონია“ (კიპროსი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) 0:1

„ფლორიანა“ (მალტა) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 0:0

„მეპელენი“ (ბელგია) — „ავენირი“ (ლუქსემბურგი) 5:0

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „კუუსიუსი“ (ფინეთი) 3:0

„მეცი“ (საფრანგეთი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 1:3

„გლენავანი“ (ჩრ. ირლანდია) — „ორხუსი“ (დანია) 1:4

„ფლიამურტარი“ (ალბანეთი) — „ლეხი“ (პოლონეთი) 2:3

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „აინტრაქტი“ (ფრანკფურტი, გფრ) 0:0

„კარლ ცეისი“ (გდრ) — „კრემსერი“ (ავსტრია) 5:0

„დერი სიტი“ (ირლანდია) — „კარდიფ სიტი“ (უელსი) 0:0

„როდა“ (ჰოლანდია) — „გიმარაეში“ (პორტუგალია) 2:0

„ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია) — „სრედეცი“ (ბულგარეთი) 2:3

„საკარიასპორი“ (თურქეთი) — „ბეკეშჩაბა“ (უნგრეთი) 2:0

„ნორჩეპინგი“ (შვეცია) — „სამპდორია“ (იტალია) 2:1

უეფა-ს თასი

ოცდაოთხმეტედფინალი

I წრე

„ჟალგირისი“ (ვილნიუსი, სსრკ) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) 2:0

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი, სსრკ) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 1:1

„მალმიო“ (შვეცია) — „ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ) 2:0

„თრაკია“ (ბულგარეთი) — „დინამო“ (მინსკი, სსრკ) 1:2

„აბერდინი“ (შოტლანდია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 0:0

„ესტერი“ (შვეცია) — „დუნაისკა სტრედა“ (ჩეხოსლოვაკია) 2:0

„ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი) — „ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია) 0:0

„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია) 4:2

„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 2:1

„უნიონი“ (ლუქსემბურგი) — „ლიეჟი“ (ბელგია) 1:7

„შტუტგარტი“ (გფრ) — „ტატანია“ (უნგრეთი) 2:0

„ინტერი“ (იტალია) — „ბრაგე“ (შვეცია) 2:1

„ანტვერპენი“ (ბელგია) — „კიოლნი“ (გფრ) 2:4

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „გკს“ (კატოვიცე, პოლონეთი) 1:0

„გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) 1:0

„არაუ“ (შვეიცარია) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) 0:3.

„სენტ-პატრიკს ატლეტიკი“ (ირლანდია) — „ჰარტსი“ (შოტლანდია) 0:2.

„მოლდე“ (ნორვეგია) — „ვარეგემი“ (ბელგია) 0:0

„ბაიერნი“ (გფრ) — „ლეგია“ (პოლონეთი) 3:1

„ვიენა“ (ავსტრია) — „იკასტი“ (დანია) 1:0

„ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ) — „ბელენენსეში“ (პორტუგალია) 0:1

„ოცელული“ (რუმინეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია) 1:0

„ველეჟი“ (იუგოსლავია) — „აპოელი“ (კიპროსი) 1:0

აეკ (საბერძნეთი) — „ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი) 1:0

„მონპელიე“ (საფრანგეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 0:3

„ულიემა“ (მალტა) — „ვიქტორია“ (რუმინეთი) 0:2

„ნაპოლი“ (იტალია) — პაოკ (საბერძნეთი) 1:0

„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „სლავია“ (ბულგარეთი) 5:0

„რომა“ (იტალია) — „ნიურნბერგი“ (გფრ) 1:2

„სერვეტი“ (შვეიცარია) — „შტურმი“ (ავსტრია) 1:0

„ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) 1:0

პირველი წრის განმეორებითი მატჩები გაიმართება 5 და 7 ოქტომბერს.

ვლადიმერ მდივანი

ადამიანის ცხოვრება მიხი საქმიანობით ფასდება. ვლადიმერ მდივანზე ვერავინ იტყვის, უზრუნველად იცხოვრო. სიხარული თავის დროზე ბევრი განუცდია, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წლებში, როცა იმედებით აღსავსე და ხალხიანი უმაწვილი დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა. მაგრამ მწარედ მოსაგონარი დღეებიც საკმაოდ ჰქონდა. ილუზიების მსხვრევა ოცდაათიანი წლების მსხვერპლთა უმძიმესი ხვედრი იყო.

სამართლიანობის მოუვარული და ქომაგი უოველგვარ ცხოვრებისეულ სიმახინჯეს თავდადებით ებრძოდა, მაგრამ ბედის ირონიით თვითონ გახდა უსამართლობის მსხვერპლი. გახდა, მაგრამ არ გამტყდარა, იმედი არ დაუკარგავს და ცხოვრების მეორე ნახევარი გაატარა ისე, როგორც სწამდა და ესმოდა. მიხი ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარული მართლაც სამაგალითო და მიხაბაძი იყო.

დაიბადა 1906 წლის 7 სექტემბერს. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში. დაამთავრა ეკონომიკის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა სულ ახალგაზრდამ დაიწყო. იყო სახკინმრეწვის ეკონომისტი, სასცენარო განყოფილების ხელმძღვანელი. სწორედ ამ პერიოდში დაუკავშირდა იგი თბილისის შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში.

სპორტი მიხი ახალგაზრდობის გატაცება იყო და, როგორც უყველა საქმეს, მასაც მთელი გულით ემსახურა. თავდაპირველად ფეხბურთს, მერე კალათბურთს თამაშობდა. გამოდიოდა თბილისის ნაკრებში, მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატებში.

ეურნალისტური საქმიანობა უფრო გვიან დაიწყო, როცა ცხოვრებისეული ცოდნისა და გამოცდილების განზოგადების ჟამი დაუდგა. ღრმად ერუდირებული და ნიჭიერი ეურნალისტის შემოქმედებძმი ინტერესები მრავალ სფეროს, ცხოვრების მრავალ უბანს მოიცავდა. ერთნაირი გატაცებით წერდა ეკონომიკაზე და სამართლის საკითხებზე, ჩვენი კულტურის უოველდღიურ პრობლემებზე. მის დღევანდელ სატკივარზე, მომავალზე, მაგრამ უველაზე დიდ დროს მაინც საუვარელ თემას — სპორტს უთმობდა. აქ იგი უაღრესად პრინციპული და შეუვალი იყო. კრიტიკული თვალი ჰქონდა და თამამი სიტყვა. ხშირად, ამის გამო, არასასურველ სიტუაციებში ექცეოდა. მომდურავიც, ცხადია, ბევრი ჰყავდა, მაგრამ ქომაგი და თანამოაზრე — უფრო მეტი. დიდ საქმეს შეჰიდებული კაცის ცხოვრება არასდროს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ ასეთ შეღავათს არც ითხოვდა. მან თვითონ აირჩია ცხოვრების გზა და ამ არჩევნის გამო ბედს არ ემდუროდა.

რვა ათეული წელს გადაცილებული, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიურ ეურნალისტურ ცხოვრებას ეწეოდა. განა სიმბოლური არ არის, რომ ვლადიმერ მდივანმა თავის საწერ მაგიდასთან, მუშაობის დროს დალია სული?

„ლელოს“ რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 10 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — **18.45 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 10 სექტემბერი. სპორტული პროგრამა — „45 წუთი“ — **21.15.**

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე: დოცენტის 1 ერთეული — ფილოსოფიის სპეციალობით, უფროსი მასწავლებლის 1 ერთეული — სკკპ ისტორიის სპეციალობით.
2. ფიზიკური კულტურის თეორიისა და მეთოდიკის კათედრაზე: დოცენტის 1 ერთეული.
3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვის კათედრაზე: უფროსი მასწავლებლის 1 ერთეული.
4. ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე: დოცენტის 1 ერთეული — ბიოქიმიის სპეციალობით.
5. ცურვის კათედრაზე; კათედრის გამგის 1 ერთეული.
6. მრავალშიდის კათედრაზე: დოცენტის 1 ერთეული — თანამედროვე ხუთჭიდის სპეციალობით.
7. ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის კათედრაზე: მასწავლებლის 1 ერთეული — კრივის სპეციალობით.

განცხადებები მიიღება დღიდან გამოქვეყნებისა ერთი თვის განმავლობაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. კადრების განყოფილება. ტელეფონი 23-09-02.

რედაქტორატი.

ინდექსი 60455. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქარხანაში, ხიზანიშვილის ქ. 29. უე 05522